საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-153

18/02/2019

ქ. თბილისი

**მარნეულის მუნიციპალიტეტში „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის (E-60) ალგეთი-სადახლოს მონაკვეთის მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-12 პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს მარნეულის მუნიციპალიტეტში “საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის” „აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის (E-60) ალგეთი-სადახლოს მონაკვეთის მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტზე” სკოპინგის დასკვნა N10 (08.02.2018წ.);
2. „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N10 (08.02.2018 წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს “საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის” მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მარნეულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი